საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

27 ოქტომბერს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრები. თბილისის დინამოელებს 52–ე ჩემპიონატის დასკვნითი მატჩი კიევში, ადგილობრივ თანაკლუბელებთან ჰქონდათ.

ამ შეხვედრას მასპინძელთათვის, პრაქტიკულად, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მატჩის ნებისმიერი ანგარიშით დამთავრების შემთხვევაშიც ისინი მაინც მესამე ადგილს ვერ სცილდებოდნენ. ხოლო თბილისელებს მატჩის ფრედ დამთავრებაც აძლევდათ ხელს, რადგანაც ისინი სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით წინ გადაინაცვლებდნენ. უნდა ითქვას, რომ თბილისელებმა ამ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი, თანაკლუბელთა ორთაბრძოლა ფრედ – 2:2 დამთავრდა.

ანგარიში ამ მატჩში მასპინძლებმა გახსნეს: ბესონოვმა, რომელიც ერთ–ერთი საუკეთესო იყო ამ შეხვედრაში, დააწინაურა თავისი გუნდი. გოგიჩაიშვილმა თერთმეტმეტრიანით გაათანაბრა ანგარიში 1:1.

შეხვედრის მეორე ნახევარში კიეველმა კუზნეცოვმა თავით ბურთს მიმართულება შეუცვალა და თბილისელები კვლავ მდევრის როლში აღმოჩნდნენ. შეხვედრის ბოლო წუთებზე, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, მოედანზე გამოვიდა გ. ცაავა, სწორედ მის მიერ მეტოქის საჯარიმოში ჩამოწოდებულ მაღალ ბურთს ქეცბაიამ კარგად შეურჩია ადგილი და თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. დროის დარჩენილ წუთებში ორივე კართან რაიმე სახიფათო მომენტი აღარ შექმნილა – თანაკლუბელებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

”ლელო” 28 ოქტომბერი 1989 წ.